

რატომ გაიზარდა სამომხმარებლო სესხების საპროცენტო განაკვეთი და როგორ აკირებს ლადო ბურბენიძე მოსახლეობის ხარჯზე ინფლაციის მოთოკვას

ჟურნალი “თბილისელები” – 26 მაიაი – 1 ივნისი, № 22, 2008

ჯერ კიდევ მთავრობის 50-დღიანი პროგრამის ეგიდით დაიწყო და გრძელდება იაფი კრედიტების პროგრამა (ბევრ სხვა პროგრამასთან უნისონში), რის პარალელურადაც სწორედ არჩევნებამდე გაირკვა, რომ სამომხმარებლო სესხებზე საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა (კრედიტების გაძვირების პიონერი საქართველოს ბანკია), რაც იმას ნიშნავს, რომ მათ, ვისაც იაფი კრედიტის პროგრამა გვერდით ჩაუვლის, ფინანსებთან დაკავშირებული ნოვატორული იდეები ჩაუფლავდება. რა კავშირი აქვს ამ ორ პროცესს ერთმანეთთან და რა როლი ერგო არ გაუგებრობაში საქართველოს ბანკს, ქართული ეკონომიკისთვის ამ არცთუ სასიამოვნო მოვლენის არსის გარკვევას ლადო პაპავასთან ერთად შევეცდებით.

– აქვს კავშირში იაფი კრედიტების პროგრამას ზოგადად კრედიტების გაძვირებასთან და როგორ აისახება ეს ქვეყნის ბიზნეს-გარემოზე?

– დავიწყოთ იმით, რომ სამთავრობო პროგრამას იაფი კრედიტების შესახებ ორი ფუნქცია აქვს: ჯერ ერთი, ხელი უნდა შეუწყოს ახალი საშუალო და, ძირითადად, მცირე ბიზნესის ფორმირებას და განვითარებას და, მეორე, ამის მიზანი წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩევლების ხმების მიღება იყო. მოდი, ვილაპარაკოთ იმის შესახებ, კარგია თუ ცუდი ეს

პროგრამა. რა თქმა უნდა, კარგია, თუ პროგრამა დარღვევების გარეშე განხორციელდება.

– განუმატოთ მკითხველს ამ პროგრამის არსი?

– იმ ხალხს, რომლებსაც უნდათ მცირე ბიზნესის დაწყება, სჭირდება სასტარტო კაპიტალი, რომელიც არ აქვს, ამიტომაც მათ აძლევენ დაბალპროცენტულ კრედიტს, რითაც ხელი ეწყობა მცირე ბიზნესის ფორმირებას. ასეთ პროექტებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენებენ.

– უმეტესად განვითარებულში თუ განვითარებადში?

– იაფი კრედიტების პროგრამა ყველანაირ ქვეყნებში გამოიყენება, მაგრამ ცნობილია, რომ, მაგალითად, ბანგლადეშია ე.წ. მიკროკრედიტების სამშობლო, რადგან სწორედ იქ მოიფიქრეს ეს იდეა. სხვათა შორის, იდეის ავტორმა ორიოდ წლის წინათ ნობელის პრემიაც კი მიიღო მშვიდობის დარგში. ამდენად, საქართველოს მთავრობის მიერ შემოთავაზებული პროგრამა ნამდვილად არ არის ცუდი. თავიდან პროგრამისთვის 30 მილიონი იყო გამოყოფილი, ამჟამად 50 მილიონამდე გაზარდეს. 50 მილიონი საკრედიტო რესურსი დიდი არ არის, მაგრამ არც მცირეა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი დამწყები მეწარმეები არ იყვნენ განებივრებული იაფი კრედიტებით.

– თავის დროზე, პრემიერ-მინისტრმა კონკრეტული ინვესტიციით დაითვაღა სამუშაო ადგილები, 50 მილიონი ლარის იაფი კრედიტი რამდენ სამუშაო ადგილს ნიშნავს?

– ამაზე კომენტარი გამიჭირდება, იმიტომ რომ მე არ ვიცი, როგორ აფასებს მთავრობა თითოეული სამუშაო ადგილის შექმნის ღირებულებას. “წიწილებს შემოდგომაზე თივლიან”, თუ ოდესმე გვეღირსა დამოუკიდებელი სტატისტიკა, დავითვლით და გვეცოდინება. ერთი სიტყვით, როგორც გითხარით, მთლიანობაში იდეა კარგია, მაგრამ მე მაქვს კრიტიკული შენიშვნა: იაფი კრედიტების გაცემის ორი ფორმა გამოიყენება: უშუალოდ მთავრობის მიერ და კომერციული ბანკების საშუალებით, ანუ მთავრობა შეარჩევს ბანკებს და ისინი გასცემენ ამ იაფ კრედიტს. ცხადია, ბანკები

დაარიცხავენ თავიანთი მომსახურების პროცენტსაც, მაგრამ კრედიტი იმდენად დაბალპროცენტიანია, რომ ერთი-ორი პროცენტის დარიცხვა მას მნიშვნელოვნად არ გააძვირებს. ამ ორი სქემიდან, რა თქმა უნდა, მომხრე ვარ კრედიტების ბანკების მიერ გაცემის სქემისა, რადგან მთავრობა არ არის კრედიტების გამცემი ორგანო.

– **მაგრამ ეს სქემა უფრო მომგებიანი არ იქნება ბიზნესმენისთვის?**

– ვერ დაგეთანხმებით, რადგან მთავარია პროფესიონალიზმი კრედიტის გაცემაში: კრედიტების გაცემის ინსტიტუტი არის ბანკი, რაც რეგულირდება შესაბამისი კანონით. მთავრობას შეუძლია, რომ თავისი საპროცენტო განაკვეთი უფრო ქვემოთ დაწიოს და კრედიტიც უფრო იაფი გამოვა.

– **ვინ შეარჩევს კრედიტის მიმღებს?**

– ორი სქემა: თუ კრედიტს ბანკი გასცემს, პოტენციალურ კრედიტორს შეარჩევს ბანკი, თუ მთავრობა გასცემს კრედიტს – კრედიტორს შეარჩევს მთავრობა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მთავრობის სხდომაზე ხდება პოტენციალური კრედიტორების შერჩევა.

– **ეს ძალიან მაღალი რანგი არ არის?**

– ეს ძალიან სასაცილოა, იმიტომ რომ საკრედიტო საქმიანობა არ არის მთავრობის საქმე.

– **თუმცა არც პრეზიდენტის საქმეა შადრევნების გახსნა.**

– მე ცოტა მიჭირს კომენტარის გაკეთება, რადგან ჩვენმა ხალხმა გადაწყვიტა, რომ შადრევანი ჯობია ყველაფერს. რაც ვართ, ის ვართ, ამიტომ იმაზე ვილაპარაკოთ, რა უფრო გამართლებულია ეკონომიკურად. გამართლებულია, რომ მთავრობამ დაბალ პროცენტში გასცეს კრედიტები, კომერციულ ბანკებს დაუწესოს პროცენტის ზედა ზღვარი, შემდეგ კომერციულ ბანკებს შორის გამოაცხადოს ტენდერი და, ვინც გაიმარჯვებს, მან გასცეს კრედიტები. ახლა კი გადავიდეთ მეორე საკითხზე: რამ გამოიწვია ქვეყანაში სამომხმარებლო კრედიტების გაძვირება? ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ მსოფლიოში მიდის გლობალური ფინანსური კრიზისი, რომლის სამშობლოც, თუ შეიძლება, ასე ითქვას, ამერიკის შეერთებული შტატებია. კრიზისმა გამოიწვია ის, რომ მსოფლიოში შემცირდა თავისუფალი

ფულის ოდენობა, იმიტომ რომ ყველას ურჩევნია, რომ თანხა, მაგალითად, უძრავ ქონებაში დააბანდოს, რაც ბუნებრივია, რადგან კრიზისული პროცესების დროს ფულს უფრო სტაბილურ აქტივებში აბანდებენ. შესაბამისად, ფული დეფიციტური გახდა, ხოლო, როდესაც ფული ხდება დეფიციტური, ის ძვირდება, კრედიტი კი იგივე ფულია. ბანკები, ჩვენს შემთხვევაში, იაფ საკრედიტო რესურსს პოულობდნენ უცხოეთში, ძირითადად, ევროპულ ბაზრებზე, დღეს ამის შესაძლებლობა შეეზღუდათ, აქედან გამომდინარე, რაკი საკრედიტო რესურსი შემცირდა, მოთხოვნა კი იგივე რჩება, კრედიტი უნდა გაძვირდეს. მაგრამ აქ არის მეორე მომენტიც: კრედიტების გაძვირება დაიწყო საქართველოს ბანკმა და ამის შემდეგ, მეტ-ნაკლები დაყოვნებით, მას მხარი აუბეს სხვა ბანკებმაც. ზოგიერთი მიყვარად აყვავ: გაითვალისწინეს რა, რომ საქართველოს ბანკი და პრემიერ-მინისტრი არცთუ უცხონი არიან ერთმანეთისთვის, ჩათვალეს, რომ, ალბათ, რაღაც ხდება. რა ხდება სინამდვილეში? ჩვენმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ინფლაცია არის პრობლემა და ის არჩევნების შემდეგაც იქნება. ეს აღიარება კარგია, იმიტომ რომ მთავრობა ყოველთვის გულწრფელი უნდა იყოს თავის ხალხთან. ინფლაციის თავიდან ასაცილებელი ერთ-ერთი საშუალება არის ის, რომ ფულის მასა შემცირდეს მიმოქცევაში, ამისთვის კი საჭიროა, რომ კრედიტი გაძვირდეს.

– ანუ ინფლაცია, რომლისგანაც იცავენ მოსახლეობას, ისევე მოსახლეობაზევე აისახება?

– ინფლაციის მოთოკვა ძირითადად ბიზნესის ხარჯზე მოხდება.

– რატომ მხოლოდ ბიზნესის? საშუალო ფენა, რომელიც განვადებით ყიდულობს საყოფაცხოვრებო ნივთებს, მშრალზე არ დარჩება?

– ეს არის კითხვა, რომელიც ყველას ადელვებს და მე შევეცდები, ძალიან მარტივად ავხსნა, რას ნიშნავს: ინფლაცია რომ მოითოკოს, გაიზრდება კრედიტების საპროცენტო განკვეთი, ესე იგი, ნაკლები სესხი გამოვა. სხვა სიტყვებით რომ გითხრათ ეს არის იძულებითი ღონისძიება, რომელსაც აქვს დადებითი შედეგი, იმიტომ რომ მკოლვედიან პერიოდში ზღუდავს ინფლაციას, მაგრამ ამას აქვს ძალიან უარყოფითი შედეგი

საშუალო და გრძელვადიან პერიოდში, ვინაიდან, თუ კრედიტი გაძვირდა, სესხის აღება გართულდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიზნესი ვეღარ აიღებს იმ ოდენობით სესხს: შეიძლება, ნაკლები აიღოს, ანუ საერთოდაც უარი თქვას, რაც აისახება ბიზნესსა და ეკონომიკურ ზრდაზე, საბოლოოდ კი, სამუშაო ადგილებზე, ანუ მოსახლეობაზე. საშუალო და გრძელვადიან პერიოდში კრედიტის გაზრდა იწვევს ეკონომიკური ზრდის შეჩერებას, თუ საერთოდ ვარდნას არა. აქ უკვე ჩანს ასეთი რამ: რადგან ეროვნულ ბანკს ბოლო კვრების განმავლობაში რაიმე განსაკუთრებული ღონისძიება არ გაუტარებია, რომ გაეზარდა კერძო ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი, ეს ნაბიჯი კი პირველმა საქართველოს ბანკმა გადადგა, გასაგებია, რომ ეს იყო პრემიერ-მინისტრის, როგორც მთავრობის ხელმძღვანელის ინტერესი.

– **ეს არ არის ინტერესთა კონფლიქტი?**

– მხოლოდ ამაში ხედავთ ინტერესთა კონფლიქტს? ჩვენი ქვეყანა უკვე “შეეჩვია” ინტერესთა კონფლიქტით ცხოვრებას. ასე რომ, ეს მე არ მიკვირს, მაგრამ ფაქტია, რომ პრემიერ-მინისტრის ამოცანაა, შეზღუდოს ინფლაცია და ამისთვის იყენებს საბანკო ინსტრუმენტს. წარმოიდგინეთ, რომელიმე არალიდერ ბანკს რომ მიეღო საპროცენტო განაკვეთის ზრდის გადაწყვეტილება, რა იქნებოდა? კლიენტები წავიდოდნენ სხვა ბანკებში, მაგრამ, როდესაც ამას აკეთებს პირველობაზე პრეტენზიის მქონე ბანკი, რომელიც ყველამ იცის, რომ ასოცირებულია პრემიერ-მინისტრთან, ეს უკვე სიგნალია მთელი საბანკო სამყაროსთვის. მეორე ობიექტური საფუძველი კრედიტების გაძვირებისა არის ის, რომ თავისუფალი სარკდიტო რესურსები მნიშვნელოვნად შეიზღუდა მსოფლიო ბაზარზე.

– **სხვა ბანკებს არ აქვთ ამ პროცესისთვის წინააღმდეგობის გაწევის უფლება და საშუალება?**

– თუ აქვთ რესურსი, არ გაზრდიან, მაგრამ, თუ არ აქვთ რესურსი? სანამ მსოფლიოში არ დაიძლევა ფინანსური კრიზისი, ასეთი შესაძლებლობები არ იქნება.

– როგორი პირი უჩანს საქმეს, მალე დაძლევს ამერიკა ფინანსურ კრიზისს?

– გამიჭირდება ამის თქმა, ეს დამოკიდებულია იმაზე, ვის აირჩევენ თეთრ სახლში: რესპუბლიკელს თუ დემოკრატს. ჩემი აზრით, გამარჯვების ყველაზე დიდ შანსი მაკქეინს აქვს, რადგან ფაქტია, რომ დემოკრატებმა დიდი შეცდომა დაუშვეს, როდესაც ერთმანეთს დაუპირისპირეს ქალბატონი და ფერადკანიანი, იმიტომ რომ ამერიკის ისტორიაში არც ერთი და არც მეორე არასდროს ყოფილა პრეზიდენტი და შეიძლება, შეიქმნას გარემოება, რომ ქალბატონმა დემოკრატებმა პროტესტის ნიშნად, თუკი დემოკრატებიდან ობამა გავიდა საბოლოო კანდიდატად, არ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში ან პირიქით, თუ გავიდა ქალბატონი ქლინტონი, ფერადკანიანმა დემოკრატებმა არ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში პროტესტის ნიშნად. ორივე შემთხვევაში ეს ხელს აძლევს მაკქეინს. ანუ, მართალია, პრეზიდენტი ბუში იყო და არის არაპოპულარული, მაგრამ დემოკრატების მცდარმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა, ისევ რესპუბლიკელების აღზევებას შეუწყოს ხელი. დღევანდელი გადასახედიდან, მაკქეინის შანსები დღითიდღე იზრდება და არა იმიტომ, რომ ის იდეალურია, უბრალოდ დემოკრატები უშვებენ შეცდომებს.

– როგორც ჩვენთან?

– არა, მიხეილ სააკაშვილმა სწორედ იმიტომ გაიმარჯვა, რომ “მიშა მაგარია”.

– ეს პირობითია, გააჩნია ვის და რის ფონზე ხარ მაგარი?

– მაგარია, იმიტომ რომ იმას, რაც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ხდებოდა, დაერქვა რეფორმები, მაგარია იმიტომ, რომ საერთაშორისო არენაზე ცნობილია, როგორც დემოკრატი, მაგარია, იმიტომ რომ მიაღწია 5 იანვრის არჩევნების ლეგიტიმაციას და საპარლამენტო არჩევნებმაც გვიჩვენა, რომ “მიშა მართლაც მაგარია”. იმ ხალხმა, რომლებსაც კერძო საკუთრებას უნგრევდნენ, რომლებმაც სამსახურები დაკარგეს, რომლებსაც 7 ნოემბერი მოუწყვეს, ხომ მისცა ხმა? ესე იგი, მაგარია, იმიტომ რომ გაუვიდა.

– ამ ლოგიკით, ნადირშაჰიც მაგარი იყო.

– მე სხვა მაგალითს მოვიყვან: მასშტაბებით არ ვადარებ, მაგრამ სტალინი მსოფლიო ისტორიაში აღიარებულია, როგორც უარყოფითი პირფონება, მაგრამ ვინმე იტყვის, რომ სტალინი მაგარი არ იყო? “მიშა მაგარია” ოცდამეერთე საუკუნეში. ხშირად მიწევდა უცხოეთში სიარული და არავინ არ იცოდა, რა იყო საქართველო, დღეს კი იციან, ევრონიუსზე გადაიციმა ინფორმაცია საქართველოს შესახებ, მათ შორის, ამინდის პროგნოზიც.

– **ერვონიუსზე პაკისტანზეც გადაიციმა ინფორმაცია?**

– პაკისტანზე გადაიციმოდა, მაგრამ ჩვენზე არა. დღეს ჩვენი პრეზიდენტი ასერხებს, რომ საკმაოდ ხშირად მოხვდეს სხვადასხვა წამყვან საინფორმაციო გადაცემაში. ცნობილი მომღერალ, ბ-ნ ხაჩიძეს, რომელიც დღეს გუბერნატორი გახლავთ, ეკუთვნის ეს ფრაზა. მე არ მახსოვს, რას მღეროდა ის, მაგრამ ეს შთამბეჭდავი ფრაზა კი გამოიგონა: მე ვადიარებ, რომ “მიშა მართლაც მაგარია”, მაგრამ ჩვენ, ყველანი, უკეთეს შემთხვევაში, სასაცილონი ვართ.

ნინო ხაჩიძე